ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №5

26 იანვარი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
5. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
6. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
7. დავით რურუა - კომისიის წევრი;
8. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;

სხდომის დღის წესრიგი:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03180253-03, 25.01.2018)

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მომხსენებელი:

- **ბაჩო აბულაძე** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

ბ.აბულაძე - წარმოგიდგენთ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2

და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზების, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისა და საგზაო მოძრაობის პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

უფრო კონკრეტულად, წესის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს ემატება ქვეპუნქტი, რომელიც ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ ნებართვების მფლობელებს ავალდებულებს დაიცვან სანებართვო პირობა, რომლის მიხედვითაც, დედაქალაქის საკრებულოს მიერ ქუჩებზე ავტობუსების გაჩერებების ადგილების განსაზღვრის შემთხვევაში, ამ მეწარმე სუბიექტებმა მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების გაჩერება უნდა უზრუნველყონ მხოლოდ ამ გაჩერებებზე.

შ.ოგბაიძე - საკრებულოს უჩნდება ბერკეტი, M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებს განუსაზღვროს გაჩერებები. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ზოგიერთ ცენტრალურ ქუჩაზე უკვე აკრძალულია მიკროავტობუსების გაჩერება.

მ.ამაშუკელი - ექნება თუ არა მიკროავტობუსს უფლება გადავიდეს მოძრაობის მეორე ზოლში.

ბ.აბულაძე - აღნიშნულის უფლება მიკროავტობუსს არ ექნება, ე.წ. „ბასლაინი“ არის საუკეთესო გამოსავალი მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

რ.სოხაძე - მისაღები იქნება, თუ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაჩერდებიან მხოლოდ გაჩერებებზე, მაგრამ ვინაიდან გარეუბნებში მანძილი გაჩერებებს შორის საკმაოდ დიდია, მოსახლეობისათვის არ იქნება კომფორტული თუ მიკროავტობუსები მხოლოდ გაჩერებებზე გაჩერდებიან.

ბ.აბულაძე - ეს წესი გულისხმობს სანებართვო პირობას, ხოლო კონრეტული ლოკაციები, შემდგომში იქნება განსაზღვრული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 8; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე თედო ისაკაძე